კანონის უზენაესობის უკუსვლის ნიშნები

პიტერ კუროსი, PhD. (VIA IURIS, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია)
სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელისთვის, 27.05.2024

როგორც ბრენდებს აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ხელწერა, ასევე მთავრობებსაც აქვთ საკუთარი ამბიციების განხორციელების უნიკალური მეთოდები. როდესაც ავტორიტარული მთავრობა მოდის ხელისუფლებაში და დემოკრატიული ღირებულებები საფრთხის ქვეშ დგება, შეიძლება საინტერესო იყოს იმის დაკვირვება, თუ რა არხებს იყენებს ხელისუფლება თავისი მიზნების მისაღწევად. წინამდებარე დოკუმენტში შემოგთავაზებთ სლოვაკეთის სახელმწიფოს უკუსვლის დამახასიათებელ ნიშნებს.

სამი გზა, რომელთა მეშვეობითაც სლოვაკეთი განიცდის დემოკრატიულ უკუსვლას:

ა) სასამართლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები
ბ) ნაბიჯები დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის გაუარესებისკენ - "გამონაკლისების" შექმნა
გ) ნაბიჯები გადადგმული საერთო ინტერესების მქონე გაერთიანებების დისკვალიფიკაციისკენ - თავდასხმები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე.

მოცემულ ნაბიჯებზე დაკვირვება განხორციელდა 2023 წლის ოქტომბრიდან, როდესაც პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს მთავრობა მეოთხედ მოვიდა ხელისუფლებაში.

წინასიტყვაობა:

> ***სლოვაკეთის 2020 წლის სასამართლო რეფორმა vs. უნგრეთისა და პოლონეთის რეფორმება***

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს სლოვაკეთმა განახორციელა სასამართლო რეფორმა, რომელიც ევროკავშირმა უმეტესწილად მოიწონა. თუმცა, რეფორმას ახლდა საკამათო ნაწილები, რომლებსაც შემდგომ განვიხილავთ უნგრეთისა და პოლონეთის რეფორმასთან შედარებით.

სლოვაკეთის შემთხვევაში შეგვიძლია გამოვყოთ ორი მთავარი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია სასამართლო სისტემის რეფორმა. პირველი ეს იყო კერძო აქტორებისა და სახელმწიფო მოხელეების გრძელვადიანი გავლენა სასამართლო სისტემაზე, რაც გამწვავდა "Threema"-ს სკანდალის გამოვლენით, რომელიც 2019 წელს გამოაშკარავდა როგორც მასშტაბური კორუფციული სქემა სასამართლო სისტემის, სამართალდამცავი ორგანოების, პოლიტიკოსებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის. ამან გამოიწვია საზოგადოების უკმაყოფილება, რაც შედეგად აისახა 2020 წლის თებერვლის

არჩევნებში. ახალმა მთავრობამ მიიღო საკმარისი ხმები, რათა ჰქონოდა ძლიერი მანდატი სლოვაკეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში, რაც საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა.

სასამართლო სისტემის ლეგიტიმურობის უკიდურესმა კრიზისმა შექმნა იდეალური შესაძლებლობა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თავისუფლად ჩარეულიყო სასამართლო ხელისუფლებაში. ორივე სცენარის განვითარება იყო შესაძლებელი იმ მომენტისთვის - ავტორიტარული გზა და სასამართლო სისტემაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარება ან სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა საზოგადოების თვალში მისი ლეგიტიმაციის აღდგენის მიზნით, სასამართლოზე პოლიტიკური კონტროლის გაძლიერების გარეშე.

რეფორმის განხორციელება წლების განმავლობაში იყო მცდელობის საგანი, მაგრამ მხოლოდ Threema-ს სკანდალის შემდეგ მიიღო საზოგადოებამ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების გადაწყვეტილება. შეჯამებისთვის - რეფორმა დაიწყო საკანონმდებლო ორგანოში 2020 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო ცვლილებით და დასრულდა 2022 წლის აპრილში სასამართლოს ახალი სამოქმედო რუკის დამტკიცებით.

2020 წლის რეფორმა შედარებით პოზიტიურად აღიქვეს საერთაშორისო ინსტიტუტებმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა და საერთაშორისო აკადემიურმა წრეებმა. თუმცა, ის მკაცრად გააკრიტიკეს მოსამართლეებმა და იმჟამინდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ. ყველა ცვლილებას შორის განსახილველად გამოვყავით ისინი, რომლებმაც ლეგიტიმური კითხვები წამოჭრეს:

1. სლოვაკეთის რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს (JCSR) რეფორმა

დასახელებული რეფორმა ითვალისწინებდა მართლმსაჯულების საბჭოს როლის, შემადგენლობისა და უფლებამოსილებების ცვლილებას. JCSR-მა როგორც იქნა მიიღო თავისი კონსტიტუციური განსაზღვრება, <u>რაც მანამდე მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს (CCSR) ჰქონდა</u>. JCSR გახდა კონსტიტუციით განსაზღვრული <u>„სასამართლო ლეგიტიმაციის კონსტიტუციური ორგანო“.</u> ახლა ის მიიჩნევა ორგანოდ, სადაც <u>ხორციელდება სასამართლო პოლიტიკა</u>. კონსტიტუციის ტექსტი შეიცვალა ისე, რომ პრიორიტეტი მიენიჭა ორგანოს ლეგიტიმურობას და არა ავტონომიას, ან დამოუკიდებლობას.

საკანონმდებლო ორგანოს, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ დანიშნულ წევრთა კვოტა იგივე დარჩა, თითოეულისთვის სამი ადგილით. თუმცა, ამ ორგანოებს

აღარ აქვთ უფლება დაასახელონ მოსამართლეები. მთლიანობაში, მოსამართლეები ასახელებენ ცხრა წევრს მოსამართლეთა რიგებიდან და ხელისუფლების სხვა შტოები ასევე ცხრა წევრს - არამოსამართლეებიდან.

რეფორმის უფრო საკამათო ნაწილი შეიძლება იყოს სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაძლევა საკანონმდებლო ორგანოს მიერ იმისთვის, რათა მიღებული ყოფილიყო ახალი კონსტიტუციური წესი, რომელიც იძლევა მართლმსაჯულების საბჭოს წევრის გათავისუფლების საშუალებას მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ყოველგვარი მიზეზის დასახელების საჭიროების გარეშე. ეს ნაბიჯი ნათელყოფს, რომ JCSR-ის წევრები არიან იმ ორგანოს წარმომადგენლები, რომელმაც ისინი შეარჩია. ამ მხრივ, CCJE-მ ცხადჰყო ავტონომიის დარღვევის პრობლემა.

2. კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვის შეზღუდვა

2019 წელს სლოვაკეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ (CCSR) გააძლიერა კონსტიტუციის სიმტკიცე თავისი გადაწყვეტილებით PL US. 21/2014, სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკური უმრავლესობის კომპეტენციაში არ შედის ნებისმიერი კონსტიტუციური საკითხის შესწორება. PL US. 21/2014 გადაწყვეტილების საპასუხოდ, საკანონმდებლო ორგანომ კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა, და ცხადად ჩაწერა, რომ CCSR-ს არ აქვს უფლება განიხილოს კონსტიტუციური კანონების შესაბამისობა ერთმანეთთან ან კონსტიტუციასთან. ამასთან დაკავშირებით CCSR-ის პრეზიდენტმა თავისი მკვეთრი უთანხმოება გამოხატა.

ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა CCSR-ის მოვალეობის - "მატერიალური ნაწილის" დაცვის გარშემო, რომელიც კონსტიტუციაში ცხადად არ იყო ნახსენები. აზრი ორად გაიყო მათ შორის, ვინც მხარს უჭერს "სუვერენის ძალაუფლებას" და ვინც მხარს უჭერს CCSR-ს, როგორც "კანონის უზენაესობის დამცველს." კონსტიტუციის შესწორების შემდეგ პასუხი ნათელი გახდა. მაშინაც კი, თუ არსებობს "მატერიალური ბირთვი", არ არსებობს უფლებამოსილება მის აღსასრულებლად.

3. მოსამართლეთა იმუნიტეტი

ინიციატივა მოსამართლეთათვის ფუნქციური იმუნიტეტის მინიჭების თაობაზე მიზნად ისახავდა მეტი ანგარიშვალდებულების შექმნას. ასეთი ნაბიჯი, სავარაუდოდ, Threema-ს სკანდალმა გამოიწვია, რა დროსაც ზოგიერთი მოსამართლე დაადანაშაულეს თვითნებური უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში, ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის კოდექსის შესწორებაში ნათქვამია, რომ "მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ სამართლებრივი მოსაზრების გამოთქმისთვის, რომელიც არის

თვითნებური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად უგულებელყოფს კანონმდებლობის ტექსტს ან სასამართლო პრაქტიკას."

კანონმდებელმა ფუნქციური იმუნიტეტი აღიქვა, როგორც გადაწყვეტილების მიღების ანგარიშვალდებულების უარყოფა. ცვლილების შემდეგ, მოსამართლეები კვლავ დაცულნი არიან სისხლის სამართლებრივი დევნისგან, თუ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, მაგრამ მათ შეიძლება ბრალი წაუყენონ "კანონის დარღვევისთვის" - კანონის თვითნებური გამოყენებისთვის.

ერთი წლის შემდეგ, ანგარიშვალდებულების ეს ინსტრუმენტი კვლავ საკამათო რჩება. სასამართლო ავტონომიის მომხრეები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხაზს უსვამენ ამ ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს. ამ ინსტიტუტის გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები მოცემულია მოსამართლეების წინააღმდეგ წარმოებულ ისეთ საქმეებში, რომლებიც შეეხებოდა პოლიტიკაში ხილვად ფიგურებს, შესაბამისად ის გაკრიტიკებულია, როგორც არამიზნობრივად გამოყენებული პოლიტიკური ზეწოლა.

4. სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს (SACSR) შექმნა და ახალი სასამართლო რუკა

განმარტებითი ანგარიშის თანახმად, SACSR-მა უნდა "შეიტანოს წვლილი კონსტიტუციური პრინციპების, უფლებებისა და ღირებულებების დაცვაში, განსაკუთრებით საჯარო ხელისუფლებისთვის უკუკავშირის კონტექსტში." SACSR, რომელსაც ხშირად მცირე საკონსტიტუციო სასამართლოს უწოდებენ, უნდა გამხდარიყო ადმინისტრაციული სასამართლოს უმაღლესი ინსტანცია, გაეთავისუფლებინა CCSR ვრცელი დღის წესრიგის ნაწილისგან და გამხდარიყო მოსამართლეებისა და პროკურორების, და მომავალში, შესაძლოა ადვოკატების დისციპლინური სამართალწარმოების ორგანო.

SACSR-ის შექმნა წარმოდგენილი იყო როგორც რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის განახლების შემდეგ ნათელი გახდა, რომ რთული იქნებოდა არა საკმარისი ხმების მოპოვება საკანონმდებლო ორგანოში, არამედ მოსამართლეების დარწმუნება თანამშრომლობაში. SACSR-ის პირველი პრეზიდენტის არჩევისას წამოჭრილი პრობლემები მხოლოდ პირველი ნიშანი იყო მოსამართლეების წინააღმდეგობისა. შემდეგ მოჰყვა მოსამართლეების მწირი მონაწილეობა SACSR-ში მოსამართლის თანამდებობაზე შერჩევაში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს უნდა გაევლოთ გასაუბრებები JCSR-ში, რათა გადასულიყვნენ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის კოლეგიიდან ახლად დაარსებულ SACSR-ში. ამ მოთხოვნამ გამოიწვია მოსამართლეების უარი განაცხადის შეტანაზე. ერთი მხრივ, ამ წინააღმდეგობამ JCSR-ს საშუალება მისცა შეერჩია ადმინისტრაციული სამართლის ექსპერტები სასამართლო

სისტემის გარედან. თუმცა, მეორე მხრივ, ამან გამოიწვია SACSR-ის ამოქმედება დაგეგმილი 30-ის ნაცვლად მხოლოდ 21 მოსამართლით.

სასამართლო რეფორმის ცენტრალური ნაწილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოების რაოდენობის შემცირება 54-დან 30-მდე და სააპელაციო სასამართლოების 8-დან 3-მდე. რეფორმის მთავარი მიზანი იყო სასამართლოების ეფექტურობის გაუმჯობესება. იუსტიციის მინისტრი გეგმავდა თიოეულ სასამართლოში ყოველი თემისთვის მინიმუმ სამი მოსამართლის ყოლას. ეს მიზანი, აჩვენებს მინისტრის პრიორიტეტებს: კორუფციასთან ბრძოლა და გამჭვირვალობის მხარდაჭერა, რაც შესაძლებელია იყოს რეაქცია წინა წლების წარუმატებლობებზე. სხვა მიზნები იყო ხელმისაწვდომობის, პროცესების სისწრაფის, გადაწყვეტილებების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესება.

რეფორმის ბოლო ნაწილი ახალი სასამართლო რუკის შედგენის შესახებ აღმოჩნდა ყველაზე რთული ამოცანა. მოსამართლეების წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაძლიერდა საკანონმდებლო ორგანოს ცალკეული წევრების მიერ წამოწყებული კამპანიით, როგორც ოპოზიციიდან, ასევე უმრავლესობის კოალიციიდან. განსაკუთრებით პარლამენტის ის წევრები, რომლებიც მოდიოდნენ ქალაქებიდან, რომლებშიც იგეგმებოდა სასამართლო ადგილების შეკვეცა, მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ამას.

შედეგს ეწოდა "ნახევარი გზა". რეგიონული სასამართლოების რაოდენობა არ შემცირებულა 8-დან 3-მდე, როგორც დაგეგმილი იყო; თუმცა, მათი დღის წესრიგი იქნება სპეციალიზებული. ახალმა სასამართლო რუკამ შექმნა ადმინისტრაციული სასამართლოების ახალი შტო, რომელიც გამოყოფილია საერთო სასამართლოებისგან. ცვილებების შედეგად, ასევე, ორ უდიდეს ქალაქში - კოშიცესა და ბრატისლავაში - რვა რაიონული სასამართლო გარდაიქმნა ხუთ საქალაქო სასამართლოდ (ერთი კოშიცეში და ოთხი ბრატისლავაში, თითოეული სპეციალიზებული დღის წესრიგით). გარდა ამისა, რეფორმამ შეამცირა 54 რაიონული სასამართლო 31-მდე, ზოგიერთი ყოფილი რაიონული სასამართლოს ადგილი შენარჩუნდა ორგანიზაციული ერთეულების სახით. ყველა დამდგარი შედეგი რეალურად მოსჩანს სასამართლო დღის წესრიგის ცენტრალიზაციის მიზნის მისაღწევად, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსამართლეთა უმაღლესი სპეციალიზაცია და მართლმსაჯულების აღსრულების უფრო მაღალი სტანდარტი.

სასამართლო რუკა ასევე მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის „აღდგენის გეგმიდან“ სასამართლო რეფორმისთვის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად. ეს იყო მთელი სასამართლო რეფორმის თავსატეხის დაკარგული ნაწილი, რომელიც აუცილებელი იყო სლოვაკეთის განაცხადისთვის “აღდგენისა და მდგრადობის გეგმიდან” პირველი 458 მილიონი ევროს მისაღებად. რეფორმის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მუნიციპალიტეტებთან და მოსამართლეებთან კომუნიკაციის ნაკლებობამ შექმნა

სიტუაცია, როდესაც „აღდგენის გეგმიდან“ ფინანსური მხარდაჭერის მიღება საფრთხის ქვეშ დადგა.

სასამართლო რეფორმა მიღებული ვერსიით წააგავს მკაცრ კომპრომისს ერთი მხრივ იუსტიციის მინისტრს, რომელიც მისდევდა მატოვიჩის მთავრობის პროგრამულ განცხადებაში არსებულ გეგმებს, და მეორე მხრივ მოსამართლეებს, ადგილობრივ ინტერესებსა და სასამართლო ასოციაციებს შორის. თუმცა, იუსტიციის მინისტრ მარია კოლიკოვას გადადგომის შემდეგ, რომელიც იბრძოდა რეფორმის განხორციელებისთვის, და ჰეგერის მთავრობიდან ლიბერალების წასვლის შემდეგ, რთულია რეფორმის გადარჩენის პროგნოზირება. ახალ იუსტიციის მინისტრს ვილიამ კარასს, სლოვაკეთის ადვოკატთა ასოციაციის ყოფილ თავმჯდომარეს, არ გაუზიარებია თავისი შეხედულებები რეფორმაზე. თუმცა, ადვოკატთა ასოციაცია მკაცრად აკრიტიკებდა შემოთავაზებულ ცვლილებებს განხორციელების პროცესში.

რა თქმა უნდა, მთავრობის მიერ შემოთავაზებული სასამართლო შტოს შემზღუდველი ყველა გეგმა არ განიხილება როგორც თავდასხმა სასამართლო დამოუკიდებლობაზე. მაშინ, როცა პოლონეთისა და უნგრეთის მთავრობების მიერ სასამართლო სისტემის რესტრუქტურიზაციის მოტივი და ეფექტი იყო სასამართლო გადაწყვეტილებებზე კონტროლის მოპოვება მთავრობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, სლოვაკეთში ასეთი გარდატეხა ჯერ არ დაფიქსირებულა.

თუმცა, პოლონეთთან და უნგრეთთან შედარებით კიდევ უფრო დაბალი საზოგადოებრივი ნდობის პირობებში, Threema-ს სკანდალის შემდეგ, სლოვაკეთი დადგა აშკარა რისკის წინაშე, რომ სახელმწიფო აქტორები გამოიყენებდნენ სასამართლო ანგარიშვალდებულების ნაკლებობასა და კორუფციის წინარე ისტორიას, რათა გაემართლებინათ პოლონეთში PiS-ის რეფორმების მსგავსი რეფორმის გატარება. თუმცა, სლოვაკეთში განხორციელებული ინტერვენცია არ ჰგავს პოლონეთსა და უნგრეთში საპარლამენტო უმრავლესობის მიერ სასამართლო სისტემაში ჩარევის გზას. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს (CCSR) უფლებამოსილების ფარგლები, განიხილოს კონსტიტუციური აქტების კონსტიტუციურობის საკითხი, უფრო მკაცრი იყო, ვიდრე უნგრეთში (სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს კონსტიტუციური კანონის მიღების პროცესის კანონიერებაზე), პოლონეთისა და უნგრეთისგან განსხვავებით, სლოვაკეთში ჯერ არ მომხდარა საეჭვო გზით სასამართლოს დაკომპლექტება (court packing). შედეგმა დაადასტურა, რომ კონსტიტუციის მიღების ძალაუფლება კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ძალაუფლებაზე მაღლა დგას. CCSR-ის ასეთი შეზღუდვის მთავარი მოტივაცია იყო, ნაგულისხმევი ძლიერი ინსტრუმენტის - იმსჯელოს კონსტიტუციური აქტების არაკონსტიტუციურობაზე - გამოყენება, რაც შემდეგ მოსალოდნელზე მეტად საკამათო გახდა, რადგანაც გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა 13-დან 9 მოსამართლის მიერ თანამდებობების დატოვებამდე რამდენიმე კვირით ადრე (რომელთა უმეტესობა დაბრუნდა საერთო სასამართლოების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე).

2019 წლის დასაწყისში, საბედნიეროდ, CCSR-მა წინააღმდეგობა გაუწია ყოფილი სამგზის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს ამბიციებს, გამხდარიყო CCSR-ის პრეზიდენტი. მომავალში ასეთი პოლიტიკური თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, იუსტიციის სამინისტრომ წამოაყენა წინადადება განეხორციელებინათ ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლთა არჩევისა და დანიშვნის წესში. უნგრეთისა და პოლონეთისგან განსხვავებით, სლოვაკეთის წინადადება ცვლის პროცესს, რათა იგი გახდეს უფრო გამჭვირვალე და პროგნოზირებადი, წინასწარ დადგენილი მოთხოვნებით კანდიდატებისა და პროცედურის შესახებ, რომელიც თავიდან აიცილებს კანდიდატების დაბლოკვას პარლამენტში ან პრეზიდენტის მიერ, რადგან ეს ორი ინსტიტუცია წამყვან როლს ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში. გარდა ამისა, მიღებულ იქნა წესი, რომელიც თავიდან აიცილებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობის ვადის ერთდროულად ამოწურვას, რაც სასამართლოს დაუცველს ტოვებს პოლიტიკური ნიშნით შევსებისგან. ეს წესი, სავარაუდოდ, პირველად 2030 წლის შემდეგ იქნება გამოყენებული. წინადადება უფრო ამცირებს, ვიდრე აძლიერებს, მთავრობის ძალაუფლებას, გააკონტროლოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანდიდატების წარმატება.

სლოვაკეთის რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს (SACSR) დაარსების პერიოდში, იგი არ დამდგარა შესაძლო პოლიტიკური ჩარევის საშიშროების წინაშე, ისევე როგორც უნგრეთში. ახლად დაარსებული უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის უფლება მიენიჭა სლოვაკეთის რესპუბლიკის მართლმსაჯულების საბჭოს (JCSR), მხოლოდ ამ შემთხვევისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. SACSR-ში დარჩენილი ვაკანსიების შევსება იქნება მისი პრეზიდენტის კომპეტენცია. მიუხედავად იმისა, რომ JCSR-ში დანიშვნისა და გათავისუფლების წესები შეიცვალა, სასამართლო სისტემა კვლავ ირჩევს JCSR-ის წევრების ნახევარს.

პოლონეთისგან განსხვავებით, სადაც სასამართლო საბჭო გახდა პოლიტიზირებული, ან უნგრეთისგან, სადაც მოსამართლეებზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ეროვნული ოფისის პრეზიდენტის ხელში გადავიდა, სლოვაკეთს ჯერ არ განუცდია ასეთი პოლიტიკური ჩარევა JCSR-ში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა ძალამ გააძლიერა თავისი გავლენა JCSR-ზე მასში დანიშნული წარმომადგენლის ნებისმიერ დროს გათავისუფლების შესაძლებლობით, მოსამართლეებისა და პოლიტიკოსების წარმომადგენლებს კვლავ თანაბარი რაოდენობის ადგილები აქვთ საბჭოში. გარდა ამისა, მოსამართლეების შეფასების საკამათო და არაკონსტიტუციური პროცედურა მთლიანად დარჩა მართლმსაჯულების საბჭოს იურისდიქციაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევის გარეშე, რაც პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს კრიტიკას. მართლმსაჯულების საბჭოში ცვლილებების შედეგი შეერია უკვე არსებულ პოლარიზაციისა და პარტიულობის პრობლემას, რაც ისედაც სახეზე იყო

აღმასრულებელი/საკანონმდებლო შტოს წარმომადგენლებსა და მოსამართლეებს შორის. მოსამართლეების მხრიდან სიტუაცია სტაბილურია. შემოთავაზებული ცვლილებების ძლიერ მოწინააღმდეგეებს კვლავ მოსამართლეები წარმოადგენენ. წარმომადგენლის გათავისუფლების შესაძლებლობა ჯერ არ გამოყენებულა, რადგან წინა მთავრობისა და პარლამენტის მიერ დანიშნულმა წარმომადგენლებმა ახალი კანონის მიღებამდე დატოვეს თავიანთი პოზიციები.

სლოვაკეთში მთავრობის წინადადება ახალი სასამართლო რუკის შესახებ, როგორც ჩანს არ არის მიმართული სასამართლო გადაწყვეტილებების ან მათი შედეგების სამთავრობო კონტროლზე. ამის ნაცვლად, ის ხელახლა ხაზავს სააპელაციო სასამართლოების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს, თითქოსდა ნეპოტიზმისა და კორუფციის შემცირების მიზნით, რომელიც კონცენტრირებულია სააპელაციო სასამართლოების თავდაპირველ ადგილმდებარეობაზე.

ყველაზე საკამათო აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის ნაბიჯი სასამართლო იმუნიტეტის შეზღუდვისკენ. ახალი სახის სისხლის სამართლის დანაშაულმა, სახელწოდებით "კანონის დამახინჯება", შეიძლება ზეწოლა მოახდინოს მოსამართლეზე პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტად გამოყენებული იყო, რომ ბრალდებული მოსამართლეების საქმეებს მიუკერძოებელი და ნეიტრალური სასამართლო განიხილავდა, თუნდაც უმნიშვნელო სისხლის სამართლის საჩივარმა, სავარაუდოდ, მაინც შეიძლება მოახდინოს ზეწოლა მოსამართლეზე. კანონის წინააღმდეგ კრიტიკა გამომდინარეობდა შიშიდან, რომ ანტიკორუფციულმა კამპანიამ შეიძლება გამოიწვიოს „სასამართლო დამოუკიდებლობის შეზღუდვის გამართლება“. CCJE-მ საფრთხე დაინახა ბუნდოვან დეფინიციებში: „იმუნიტეტი ეკუთვნის მხოლოდ გადაწყვეტილებაში გამოხატულ სამართლებრივ მოსაზრებას, თუ ამით არ ჩადენილა სისხლის სამართლის დანაშაული" და „შევიწროება არასასურველი მოსამართლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების გზით.“ JCSR-ის პრეზიდენტმა თავის პასუხში დაასაბუთა, რომ “კანონის დამახინჯება“ მიჰყვება გერმანულ პარადიგმას. იგი ხედავს საკმარის გარანტიებს, იმ შემთხვევაში თუ "ფორმულირების ინტერპრეტაცია (დანაშაულზე "კანონის დამახინჯება") იქნება დამოუკიდებელი სასამართლოს ხელში."

საბოლოოდ, სლოვაკეთში არ ყოფილა მცდელობები რაიმე ე.წ. "ალიკაპის კანონის" მიღების ან სასამართლოების დამოუკიდებლობის შესახებ ევროკავშირის სასამართლოსთვის CJEU წინასწარი შეკითხვით მიმართვის უფლების შეზღუდვისა, როგორც ეს პოლონეთსა და უნგრეთში მოხდა. არ არსებობს გარანტიები, რომ მიმდინარე რეფორმა არ გადაიქცევა თავდასხმებად მომდევნო თვეებში ან წლებში. თუმცა, ბოლო დროს, ჩარევა არ გვახსენებს უნგრეთსა და პოლონეთში სასამართლო სისტემაში განხორციელებულ ჩარევებს, სადაც გადაიდგა სისტემური ნაბიჯები

საკონსტიტუციო სასამართლოების შეზღუდვის, სასამართლოების ყველა დონეზე სასამართლოს ხელოვნურად შევსების და სასამართლო საბჭოს პოლიტიზირებისკენ.

მოულოდნელად, რეფორმის ზოგიერთი ელემენტი, მიღებულ იქნა კონტროვერსიისა და მედიის ყურადღების გარეშე, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა, საერთო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტისთვის ასაკობრივი ცენზის შემოღება და მოსამართლეების ქონებრივი ურთიერთობებისა და სამოსამართლო კომპეტენციის შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი ზღვრის დაწესება შეიძლება ჰგავდეს <u>პოლონეთსა და უნგრეთში</u> მიღებულ ზომებს, მას არ გამოუწვევია დაპირისპირება სლოვაკეთში. საკონსტიტუციო ცვლილებამ შემოიღო ასაკობრივი ზღვარი საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის 67 წელი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის 72 წელი, რასაც მოსდევს მოსამართლის და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის შეწყვეტა ex constitutione (კონსტიტუციის ძალით). მიუხედავად იმისა, რომ 65 წლის ასაკობრივი ზღვრის დადგენის წესი კონსტიტუციაში 1992 წლიდან არსებობდა, საკანონმდებლო ორგანოს და 2001 წლიდან მართლმსაჯულების საბჭოს ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება გადაეწყვიტა, შეეძლო თუ არა მოსამართლეს თანამდებობაზე დარჩენა 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. ასაკობრივი ზღვარი აუქმებს ამ ორგანოების თვითნებობის შესაძლებლობას, გადაწყვიტონ რომელი მოსამართლეების პენსიაზე გასვლა სურთ.

ა. სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევა 2023 წლის ოქტომბრიდან:

1) ***<u>პრემიერ-მინისტრი ფიცო თავს ესხმის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ფიაჩანს.</u>***

<u>12 მოსამართლისგან შემდგარმა პლენუმმა,</u> თუმც არა ერთხმად, გადაწყვიტა შეეჩერებინა სისხლის სამართლის კოდექსის ყველა ცვლილება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილება. კერძოდ, სასამართლო ხედავს საფრთხეს სასჯელების შემცირებაში, ხანდაზმულობის ვადების შემოკლებაში და ამავდროულად სისხლის სამართლის დანაშაულით მიყენებული ზიანის კლასიფიკაციის გადასინჯვაში, ასევე ადრე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების ხელახლა განხილვაში და უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებაში სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ.
საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა ფიცომ სიტყვიერად შეუტია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს გადაწყვეტილების მედიაში გაჟონვის გამო, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო მას ოფიციალურად გამოაქვეყნებდა თავის ვებგვერდზე. ფიცომ საჯაროდ მოითხოვა, რომ თავმჯდომარე ფიაჩანი გადადგეს ან მომდევნო არჩეულმა სლოვაკეთის პრეზიდენტმა გაათავისუფლოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პრემიერ-მინისტრის ასეთი ქმედება სახიფათოა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის.

2) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფა

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში სლოვაკეთში სასამართლო დამოუკიდებლობაზე თავდასხმები არა მხოლოდ გაძლიერდა, არამედ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. შინაგან საქმეთა მინისტრმა შუტაი-ეშტოკმა პირდაპირი მუქარა გამოთქვა დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე ბრატისლავის მუნიციპალური სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლო დაადანაშაულა გადაწყვეტილებების კოორდინირებაში პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. ფიცო იმდენად შორს წავიდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გათავისუფლებით დაემუქრა. ეს ქმედებები არა მხოლოდ თვალხილული, არამედ შემაშფოთებელი მუქარა იყო სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. ბოლო დროს ფიცომ მიმართა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს იურაი კლიმენტს: "ბატონი კლიმენტის ადგილას, დღესვე შევკრავდი ბარგს. მაგრამ როგორც ჩანს, მას სურს გაიაროს ყველა სამართლებრივი პროცედურა, რასაც ჩვენი სამართლებრივი სისტემა მოითხოვს." აღნიშნული წარმოადგენს სერიოზულ ბრალდებას და მკაცრ თავდასხმას სასამართლო ხელისუფლებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, რაც მნიშვნელოვნად ძირს უთხრის მის დამოუკიდებლობას.

3) მოთხოვნა პარლამენტის მიერ არჩეული მართლმსაჯულების საბჭოს წევრების გათავისუფლების შესახებ.

მართლმსაჯულების საბჭოს თავმჯდომარის, იან მაზაკის გათავისუფლების შემდეგ, პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ დაუყოვნებლივ შეიტანა მოთხოვნა პარლამენტის მიერ არჩეული ორი წევრის გათავისუფლების შესახებ. ეს ორი წევრი – ყოფილი თავმჯდომარე იან მაზაკი და ანდრეი მაიერნიკი, პარლამენტმა აირჩია 2020 წელს და მათი ვადა 2025 წელს უნდა დასრულებულიყო. საპარლამენტო უმრავლესობის არგუმენტები იყო საკმაოდ თვითნებური და ბუნდოვანი. უმრავლესობა თავის მოთხოვნას ასაბუთებდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით (PL. US 8/2022 და PL.US 12/2022), რომელშიც რეალურად მოხსენიებული არ არის ის არგუმენტები, რომელებზეც უმრავლესობა აპელირებდა.
გარდა ამისა, გათავისუფლების მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ეს წევრები "არ იცავდნენ სასამართლო დამოუკიდებლობას" 2020 წელს სასამართლო რეფორმის მიღებისას. თუმცა, რეფორმა ძირითადად დადებითად შეფასდა ევროკომისიისა და სამართლის ექსპერტების მიერ, ხოლო ნაბიჯი, რომელიც გააკრიტიკეს კომისიამ და CCJE-მ, იყო კონკრეტულად იუსტიციის საბჭოს ვადამდელი გათავისუფლების შესაძლებლობა. არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, იუსტიციის საბჭოს წევრების ვადამდელი გათავისუფლება სამართლებრივად შესაძლებელია. თუმცა, ეს

პრაქტიკა მწვავედ არის გაკრიტიკებული ევროკომისიის, მოსამართლეთა პროფესიული ორგანიზაციის CCJE-ს და სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. წინააღმდეგობის მიუხედავად, ფიცოს კოალიციამ, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა აქვს, ეს არაერთხელ გააკეთა. მაგალითად, მთავრობის მიერ არჩეული მართლმსაჯულების საბჭოს სამი წევრის შეცვლა მოხდა 2023 წლის სექტემბერში ჯერ კიდევ პარლამენტში ნდობის გამოცხადებამდე.

4) იუსტიციის მინისტრმა სუსკომ ბრძანა ლუსტრაცია უმაღლეს სასამართლოებში

იუსტიციის მინისტრმა მოითხოვა უზენაეს სასამართლოსა და სპეციალიზებულ სისხლის სამართლის სასამართლოში შემოწმების ჩატარება, რათა გამოეკვლიათ მოსამართლეთა შემთხვევითი შერჩევა ინდივიდუალური საქმეების განაწილებისას. მაშინ როცა უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა იუსტიციის სამინისტროსთვის საქმეთა მთლიანი მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობაზე, სპეციალიზებულმა სისხლის სამართლის სასამართლომ გადასცა სისტემის ასლი 2005 წლიდან მოყოლებული.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ იან შიკუტამ განმარტა, რომ იუსტიციის სამინისტროს ინსპექციამ მოითხოვა ყველა საქმე 2001 წლიდან. როდესაც მათ გაარკვიეს, რამდენი ტერაბაიტ მონაცემს შეიცავდა ეს პერიოდი, ინსპექციამ შეცვალა მოთხოვნა და მოითხოვა ყველა საქმე 2019 წლიდან. აღმასრულებელი ხელისუფლების ასეთი ჩარევა სასამართლო ხელისუფლებაში უპრეცედენტოა და არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თავდასხმა სასამართლო სისტემაზე.

5) სიტყვიერი თავდასხმები მოსამართლეებზე

ცოტა ხნის წინ, პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოზე მკვლელობის მცდელობას და მოუწოდებს პოლიტიკურ სუბიექტებს შეამსუბუქონ სოციალური დაძაბულობა და ხელი შეუწყონ ერთიანობასა და სტაბილურობას სლოვაკეთში. თუმცა, ამ რეზოლუციიდან მხოლოდ 13 დღის შემდეგ, სლოვაკეთის პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარემ ლუბოშ ბლაჰამ სიტყვიერი თავდასხმა განახორციელა სპეციალიზებული სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეზე, ეჭვქვეშ დააყენა მისი დამოუკიდებლობა და ახდენდა მისი როლის კრიმინალიზაციას. ამ ინციდენტზე რეაგირებისას, სასამართლო „ინიციატივამ ღია სასამართლოებისთვის“ დაგმო ვიცე-თავმჯდომარის განცხადებები და ხაზი გაუსვა სასამართლოს დამოუკიდებლობის პატივისცემისა და დაცვის მნიშვნელობას. მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ასეთი თავდასხმები საფრთხეს უქმნის როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე მთლიან სასამართლო სისტემას, რაც ძირს უთხრის კანონის უზენაესობას და საზოგადოების პატივისცემას სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ. მოსამართლეებზე მიმდინარე საჯარო თავდასხმები რისკს ქმნის, რომ გამოიწვიოს საშიში ქმედებები მათ

წინააღმდეგ და შეარყიოს სლოვაკეთის კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპები.

ბ. ნაბიჯები დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის გაუარესებისკენ

1) კანონების უმეტესობა მიიღება დაჩქარებული საკანონმდებლო პროცედურით
კანონები მტკიცდება განხილვის გარეშე, რაც კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ვიდრე იყო პანდემიის დროს, როცა <u>რობერტ ფიცოს მეოთხე მთავრობა კანონების თითქმის 60%-ს იღებდა დაჩქარებული საკანონმდებლო პროცედურით,</u> ყოველგვარი ნათელი დასაბუთების გარეშე. დაჩქარებული კანონების ეს მნიშვნელოვანი ზრდა მიუთითებს დღევანდელი კოალიციის უპატივცემულობაზე დემოკრატიული კანონშემოქმედების პროცესის მიმართ, რითაც ავტორიტარულ გადაწყვეტილებებს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე ხარისხიან ექსპერტულ დებატებს. კანონების მიღების სიჩქარე ხშირად იწვევს მნიშვნელოვან შეცდომებს, რაც საჭიროებს კორექტირებას საპარლამენტო მოსმენების დროს, რაც სცილდება მცირე ტექნიკური გადახედვის თავდაპირველ მიზანს. დაჩქარებულ კანონებს აქვთ შეზღუდული საზოგადოებრივი ჩართულობა, რაც ამცირებს სამართლის ექსპერტების, ორგანიზაციების და საზოგადოების მიერ წვლილის შეტანის შესაძლებლობას და საფრთხეს უქმნის კანონმდებლობის ხარისხს, სიცხადეს და განჭვრეტადობას. ყოვლისმომცველი ექსპერტული განხილვების გვერდის ავლის ტენდენცია საფრთხეს უქმნის კანონების ხარისხს, სამართლებრივ სიზუსტეს და უსაფრთხოებას, საბოლოოდ კი ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს და ტოვებს მათ საფუძვლიანი განხილვის შესაძლებლობისა და ჩართულობის გარეშე.

2) <u>ფიცო IV-ის ადმინისტრაციამ გვერდი აუარა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საიდუმლო სამსახურის უფროსთან დაკავშირებით.</u>

ფიცო IV-ის ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, მან რამდენიმე სიგნალი გაგზავნა საჯარო დისკურსში თავიანთი განზრახვის შესახებ საიდუმლო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ტიბორ გაშპარის წამოყენების თაობაზე. ტიბორ გაშპარი, ყოფილი პოლიციის პრეზიდენტი, მძიმე სისხლის სამართლის ბრალდებების წინაშე დგას. პრეზიდენტმა ზუზანა ჩაპუტოვამ საჯაროდ განაცხადა, რომ მას პრობლემა ექნებოდა ბრალდების ქვეშ მყოფი პირის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.
დაპირისპირების ფონზე, ფიცო IV-ის ადმინისტრაციამ წამოაყენა ახალი კანდიდატი - პავოლ გაშპარი, ტიბორ გაშპარის შვილი. თუმცა, ამ ნაბიჯმა გამოიწვია მხოლოდ ცეცხლზე ნავთის დასხმა, რადგან თავად პავოლ გაშპარს ბრალი ედებოდა ცრუ ჩვენების მიცემასა და ფიცის ქვეშ ტყუილის თქმაში. ის ასევე ეჭვმიტანილი იყო პოლიციის ოფიცრებისთვის 60,000 ევროს ოდენობის ქრთამის მიცემაში. პრეზიდენტმა ჩაპუტოვამ მკაფიოდ განაცხადა, რომ პავოლ გაშპარის დანიშვნის გადაწყვეტილებას

გადადებდა შემდეგი პრეზიდენტისთვის, რომელიც თანამდებობას დაიკავებდა 2024 წლის ივნისში.
ფიცო IV-ის ადმინისტრაციის მიერ სლოვაკეთის საიდუმლო სამსახურის წესდების შეცვლამ დიდი გაკვირვება გამოიწვია. ამ გადახედვამ სამსახურის უფროსის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების დელეგირება მოახდინა უფროსიდან უფროსის მოადგილეზე, თანამდებობაზე, რომელსაც ახლა პავოლ გაშპარი იკავებს. თუმცა, გაშპარის უფლებამოსილების მასშტაბი კვლავ საიდუმლოდ რჩება, რადგან საიდუმლო სამსახურის წესდება კონფიდენციალური დოკუმენტია. ეს საიდუმლოებები ბადებს გაურკვევლობას და არყევს ნდობას, ფიცო IV-ის მთავრობის ქმედებების მიმართ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

3) ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით დადგენილი შეზღუდვა

<u>ნაციონალისტური პარტია ცდილობს შეზღუდოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლება ინფორმაციის მიღებაზე,</u> ასეთი მოთხოვნის დამუშავებისთვის საფასურის დაწესების შეთავაზებით, რომელიც ამჟამად უფასოდ ხელმისაწვდომია. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება ითვალისწინებდეს გადასახადებს სახელმწიფო ორგანოებისგან არაკონფიდენციალური ინფორმაციის მიღებისთვის, რაც ზღუდავს წვდომას ფინანსური შეზღუდვების საფუძველზე. მკაფიო განმარტებების ან სახელმძღვანელო პრინციპების გარეშე, წინადადება იწვევს შეშფოთებას იმის თაობაზე, თუ რა დისკრეციას შეიძლება ფლობდნენ თანამდებობის პირები გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს "ვრცელ ძიებას" და ექვემდებარება საფასურს, რაც ფაქტობრივად ქმნის ფასიან კედელს კრიტიკული ინფორმაციისთვის. კანონპროექტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ხსნის გზას ხელისუფლებისთვის, შერჩევითად შეაფერხოს ინფორმაციაზე წვდომა, რამაც პოტენციურად შეიძლება ხელი შეუშალოს ჟურნალისტებს, ორგანიზაციებს ან პოლიტიკურ ოპონენტებს მნიშვნელოვანი მონაცემების მოპოვებაში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფასურის ჩეხური მოდელის ასახვით, წინადადება რისკავს სახელმწიფო ორგანოებს მიანიჭოს უპრეცედენტო უფლებამოსილება, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვით.

C. ნაბიჯები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ

1) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გვთავაზობენ გამოსავლებს "უცხოური გავლენის" შესახებ საშიშ კანონპროექტთან დაკავშირებით.

გასულ თვეს სლოვაკეთის პარლამენტმა <u>მიიღო საკანონდებლო წინადადება</u> არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონის, ფონდების შესახებ კანონისა და არაინვესტიციური ფონდების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან

დაკავშირებით, რომელიც მეორე მოსმენაზე გადავიდა. კანონპროექტი ითვალისწინებს ამ ორგანიზაციების გაუქმებას დამატებითი მიზეზებით და ავალდებულებს გაამჟღავნონ დონორების, კონტრიბუტორებისა და კრედიტორების შესახებ ინფორმაცია. კანონპროექტს შემოაქვს ტერმინი (იარლიყი) "უცხოური მხარდაჭერის მქონე ორგანიზაცია" იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იღებენ 5,000 ევროზე მეტ დაფინანსებას უცხოური წყაროებიდან ან სხვა მარკირებული სუბიექტებიდან. ეს ტერმინი უნდა გამოიყენებოდეს ყველა კომუნიკაციაში დაფინანსების გამჭვირვალობის გასაზრდელად. კანონპროექტი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება მსგავსი მარკირების წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ უნგრეთის კანონთან მიმართებით, რაც ეჭვქვეშ აყენებს კანონპროექტის შესაბამისობას გაერთიანების თავისუფლების პრინციპებთან და ევროკავშირის სამართლებრივ სტანდარტებთან.

2) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჯარო დაფინანსება არაგამჭვირვალე პოლიტიკური კონტროლის ქვეშ ექცევა

იუსტიციის სამინისტრომ უარი თქვა განკარგულებაში არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაფინანსებასთან დაკავშირებით. სლოვაკეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა მოსმენამ გამოავლინა ძლიერი წინააღმდეგობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შემოთავაზებული რეგულირების მიმართ. სამოქალაქო სექტორი შეშფოთებულია კურსის ცვლილებით - ექსპერტების მიერ შეფასებული, გამჭვირვალე სისტემიდან - დაზუსტების გარეშე მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გადასვლით. იუსტიციის სამინისტრომ უარი თქვა გამჭვირვალობის და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფაზე დაფინანსების შეფასებისას. იუსტიციის სამინისტროში ბოლოდროინდელი წარმოების დროს კომპრომისის მიუღწევლობის გამო, №322/2016 განკარგულებაში შეთავაზებული ცვლილებები ახლა წინ წაიწევს, იუსტიციის მინისტრის პოსიზიციის საწინააღმდეგოდ. ეს ნაბიჯი სამთავრობო კოალიციის მცდელობის ნაწილია, მოახდინოს პოლიტიკური გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე, შემოიტანოს ისეთი ცვლილებები, როგორიცაა უცხოური მხარდაჭერის მქონე ორგანიზაციების მარკირება. სამოქალაქო პლატფორმა დემოკრატიისთვის, რომელსაც მხარს უჭერს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და მოქალაქე, პირობას დებს, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლო სამართლებრივი გზა სამოქალაქო სექტორის დამოუკიდებლობის დასაცავად, დასახელებული მოვლენების ფონზე.

3) პრემიერ-მინისტრი ემუქრება საპარლამენტო ოპოზიციას, მედიას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ, რომელიც მაისში ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმის შემდეგ გამოჯანმრთელდა, გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც საპარლამენტო ოპოზიციას, მედიას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს. თავდამსხმელს კი აღწერს, როგორც ოპოზიციის აქტივისტს, რომელსაც პოლიტიკური სიძულვილი ამოძრავებდა. ფიცომ თავდამსხმელს აპატია და დაპირდა, რომ მის წინააღმდეგ სამართლებრივ ზომებს არ მიმართავდა. მან, ასევე, ახსენა სროლის შედეგად მიღებული მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა დეტალები არ გაუმჟღავნებია. ვიდეოში ფიცომ თავდასხმაში ბრალი დასდო ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებულ ანტისამთავრობო მედიას, უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ოპოზიციას, და გააფრთხილა შემდგომი მოსალოდნელი ტრაგედიების შესახებ, თუ მოცემული აგრესიული პოლიტიკა შეუფერხებლად გაგრძელდება. მან გააკრიტიკა ევროკავშირი და დასავლელი მოკავშირეები, ხაზი გაუსვა აზრთა სხვადასხვაობას და განაცხადა, რომ ისინი სლოვაკეთის სუვერენიტეტს პატივს არ სცემენ. ფიცომ იწინასწარმეტყველა მეტი ძალადობრივი ინციდენტის შესახებ, თუ ოპოზიცია და საერთაშორისო მხარეები არ შეცვლიან თავიანთ მიდგომებს და არ შემცირდება მუქარები ოპოზიციის წარმომადგენლებისგან. ვიდეო დაეხმარა SMER-SD-ს ევროპარლამენტის არჩევნებამდე სიტუაციის გამოყენებაში.

4) მკვლელობის შესახებ კანონი ზღუდავს ფუნდამენტურ უფლებებს

პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოზე მკვლელობის მცდელობის შემდეგ, მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები, ცნობილი როგორც 'lex atentát' (მკვლელობის კანონი), რომელმაც დააწესა შეზღუდვები საჯარო შეკრებებზე და ახალი შეღავათები შემოიღო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. საკანონმდებლო წინადადებები, მათ შორის ფიცოსთვის თვეში 3,192 ევროს ოდენობის სამუდამო პენსიის დანიშვნის შესახებ, პარლამენტში დაჩქარებული წესით განიხილეს. ფიცო იქნება პირველი სლოვაკი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ასეთ სარგებელს მიიღებს, კონკრეტული უფლებამოსილების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებსაც მხოლოდ ის აკმაყოფილებს. კანონი, ასევე, ავრცელებს უსაფრთხოების გარანტიებს სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურაზე, მათ შორის პრეზიდენტზე, პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებზე. გარდა ამისა, დაწესდა შეზღუდვები საჯარო შეკრებებზე მთავრობის მთავარი ადმინისტრაციული შენობების ახლოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შეუფერხებელი ფუნქციონირება. საპროტესტო აქციები დანიშნულ თანამდებობის პირთა რეზიდენციებთან შეიზღუდება წესრიგის შესანარჩუნებლად და დარღვევის თავიდან ასაცილებლად. კვლავ არსებობს შეშფოთება ნაჩქარევი და ცუდად შემუშავებული კანონების გამო, რომლებსაც აკლია პროფესიული დებატები პარლამენტში წარდგენამდე.

კანონმდებლობაში შემოთავაზებული ცვლილებები მოიცავს: ჯარიმების მოხსნას მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც გაიმართა შეკრება, რომელმაც გამოიწვია ინციდენტი; გადაუხდელი ადმინისტრაციული ჯარიმისთვის პატიმრობის თავიდან აცილებას; და ოპერატორების ვალდებულებას გაუზიარონ პოლიციას მომხმარებელთა მეტამონაცემები, შეურაცხმყოფელი ონლაინ გამოხატვის შემთხვევებში. მთავარი დაინტერესებული მხარეებისა და სუბიექტების გამორიცხვამ მნიშვნელოვან საკანონმდებლო განხილვებში წვლილის შეტანისგან გამოიწვია ცუდად დაწერილი პროექტები, რომლებიც საჭიროებენ ბოლო წუთის შესწორებებს. კრიტიკოსები ხაზს უსვამენ ექსპერტული დისკუსიის შეზღუდვის საფრთხეს ისეთ კანონებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ყველაზე, რაც იწვევს ნაკლოვანი კანონმდებლობის მიღებას და ზღუდავს ქუჩის პროტესტის მიღმა განსხვავებული აზრის გამოხატვას, დემოკრატიის თავისებური ინეტპრეტაციით.